პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
შაბათი
5
ივნისი
№ 131
(16561)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ნიღლი დადგენილება, „ტიუმენის ოლქის წყალსატევებზე სარეწი თევზის მარაგის გადიდებისა და უკეთ გამოყენებისათვის თევზის მეურნეობის საწარმოო კოლექტივების, მეცნიერებისა და სპეციალისტების — ასევე რაზმავად პარტიის ტიუმენის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული კომიტეტის — სასარგებლოდ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ტიუმენის საოლქო პარტიული ორგანიზაცია დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, რათა დარაზმოს საწარმოების კოლექტივები, თევზსაკერი კოლმეურნეობები, მეცნიერები, თევზის მრეწველობის სპეციალისტები ადგილობრივ წყალსატევებში სარეწი თევზის მარაგისა და თევზჭერის გადიდებისათვის, თევზის პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

ოლქში შექმნილია ინტენსიური ტიპის სასაქონლო სატბორე მეურნეობები, სადაც თევზს წყალსატევების ბუნებრივი საკვებით ამრავლებენ გაუმჯობესებული ტექნოლოგიის მიხედვით. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ოლქის საწარმოებში თევზჭერა 1,7-ჯერ გაიზარდა, მნიშვნელოვნად გადიდდა სასუროსათო თევზის პროდუქციისა და კონსერვების წარმოება, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მოგება. თევზის მეურნეობებში თევზის ხაშუალო პროდუქტიულობა ერთ მეტრ წყლის ფონდზე გაანგარიშებით ახალი ტექნოლოგიის ათვისების შემდეგ იმავე წყალსატევებში დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა.

პარტიის ტიუმენის საოლქო კომიტეტის ინიციატივით მეათე ხუთწლედისათვის სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია ოლქის თევზის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მეთევზეობისა და თევზჭერისათვის ქვეყნის შიდა წყალსატევებისა და განსაკუთრებით უზარმაზარი სატბორე ფონდის უფრო ინტენსიური გამოყენება თევზის წარმოების გადიდებისა და თევზსა და თევზის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტიუმენის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება, რომელმაც მეცხრე ხუთწლედში განახორციელა ღონისძიებები შიდა წყალსატევების უფრო სრულად გამოყენებისათვის თევზის პროდუქციის წარმოების გასადიდებლად და პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებები, რომ 1980 წელს თევზჭერა გაიზარდოს 500-550 ათას ცენტნერამდე, ანუ გადიდდეს 1,6-1,7-ჯერ 1975 წლის დონესთან შედარებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ქვეყნის თევზსამეურნეო რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ ტიუმენის ოლქის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების შესაბამისად საჭირო მუშაობა განახორციელონ არსებულ ბუნებრივ წყალსატევებში თევზის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულია ტიუმენის ოლქში გაამართოს ქვეყნის თევზის მეურნეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკებს, თევზის მრეწველობის ხელმძღვანელების, მეცნიერი მუშაკებისა და სპეციალისტების საკავშირო სემინარი, რათა შეისწავლონ ტიუმენის ოლქის თევზის მეურნეობის საწარმოთა მუშაობის გამოცდილება ადგილობრივ წყალსატევებში სარეწი თევზის მარაგისა და თევზჭერის გადიდებისათვის.

ცენტრალური, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატიურად გამოქვეყნონ მასალები, რომლებშიც გააშუქებენ კოლექტივების, მებადური ნოვატორების, მეცნიერებისა და სპეციალისტების მიღწევებს ქვეყნის შიდა წყალსატევებში თევზის მეურნეობის განვითარების შემდგომი დაჩქარების საქმეში.

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ოქტომბრის მეურნეობის აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. პარტიის აღრარუმმა პოლიტიკამ, რომლის საფუძველი თანამედროვე ეტაპზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა შექმნა, სახიერთო გავლენა მოახდინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებაზე. ორი განვლილი ხუთწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით თითქმის მეოთხედით გაიზარდა. ამ პერიოდში სოფლის ენერგეტიკული სიმძლავრენი გაორკეცდა, მეურნეობანი თითქმის სამჯერ მეტ მინერალურ სასუქს იღებენ, შრომის ნაყოფიერება 1,6-ჯერ გადიდდა.

„ყოველივე ამან, — თქვა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საშუალება მოგვცა შეგვექმნა საჭირკველი — მტკიცე, მკვიდრი საძირკველი, რათა სოფლის მეურნეობა გადაგვექცია ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად“. მის განვითარებაში მომხდარი არსებითი ძვრები უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური შედეგია. ეს ძვრები გახდა დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარი მთავარი მიზნის მისაღწევად — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი პარტია ჯეროვნად აფასებს მიღწეულს და აშახ

ავებს ხუდავს, რომ მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების გაფართოების ტემპი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური მაჩვენებლები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს. აი რატომ არის, რომ ახლა წინა პლანზე დგება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი დიდად არის დამოკიდებული წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციაზე, თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მის გადაყვანაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. პრესაში გამოქვეყნებულ ამ დოკუმენტს უდიდესი თეორიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი გვიხსნიან გზას, რომ დაჩქარებით ვზარდოთ პროდუქციის გამოსავლიანობაზე, გავადიდოთ მეურნეობათა ეფექტიანობა, ავამაღლოთ სასოფლომეურნეო წარმოების განსაზოგადოების დონე, სრულყოთ საზოგადოებრივი ურთიერთობა, დავაახლოოთ სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა, თანდათან მოვხსნათ არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფლის შორის.

ცხოვრებამ დაადასტურა, თუ რა უპირატესობა აქვთ მსხვილ სპეციალიზებულ საწარმოებს, განსაკუთრებით ისეთებს, სამეურნეობათშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე რომ იქმნება. ქვეყანაში უკვე 6 ათასამდე სამეურნეობათშორისო კოოპერატივი, ორგანიზაციები და საწარმოა. ისინი ფართოდ გავრცელდა მოლდავეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, კრასნოდარის მხარეში, მარეთის ასსრ რესპუბლიკაში, ვორონეჟის, პენზისა და ზოგიერთ სხვა ოლქში, რესპუბლიკაში. გამოცდილება

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ
4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲮᲔᲚᲕᲐᲠᲐᲣᲠᲘᲡ რაიონის ხალიბაურის ჩაის ფაბრიკა აკარაში ერთ-ერთი უძველესი ხაწარმოა. დიდი ამოცანები დგას მისი კოლექტივის წინაშე. წლის დამლევამდე გამოშვებული იქნება 611 ტონა ქართული ბაიხაო ჩაი.

1976 წლის სეზონში ფაბრიკა მიიღებს და გადაამუშავებს 2.437 ტონა ჩაის ფოთოლს.

ფაბრიკამ უკვე მიიღო 400 ტონაზე მეტი ნედლეული. პირველი პროდუქცია — 20 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი გაეგზავნა თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკას. ხალიბაურის ჩაი გაეგზავნა ოდესასაც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ხელვაჩაურის რაიონის ხალიბაურის ჩაის ფაბრიკის როლერის ხაამქრო. (ზემოთ); უფროსი ტიტესტერი ოლღა ჭანკვეტაძე (მარჯვნივ) და ტიტესტერი ნათელა აბაშიძე ამოწმებენ ახალი პროდუქციის ხარისხს (მარჯვნივ); მზა პროდუქციის საამქრო. ქართული ბაიხაო ჩაის მორიგ პარტიას ამზადებენ თბილისში გასაგზავნად (მარცხნივ).

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐ — ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ განაგრძობს საკავშირო თათბირ-სემინარი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საკითხებზე.

თათბირ-სემინარის მონაწილეები ეცნობიან მეცხოველეობის კომპლექსებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, საკვებწარმოებისა და „საქხოფლტექნიკის“ საწარმოებს.

ჩვენი ფოტოზე: მეორე გვერდზე მკითხველს ვთავაზობთ თათბირ-სემინარის კლენარული სხდომის ანგარიშს.

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ოლქში. რესპუბლიკაში. გამოცდილება ეფექტიანობა ეკონომიკა ეკონომიური ეფექტიანობა ეკონომიკურ ეკონომიკის ეკონომიკაში ეკონომიკა ეკონომიკაზე ეკონომიკურ ეკონომიკურად ეკონომიკურად ეკონომიკურ ეკონომიკურ ეკონომიკურ

ინდუსტრიული საფუძველი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა

საკავშირო თათბირ-სემინარი

ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანისათვის, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებისათვის. ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება საქართველოშიც. ჩვენ, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლს ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილენი, აღნიშნა სემინარის გახსნაზე წარმოთქმულ შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსგზშირო გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ა. ეკეკესკიმ, შევეკრებით სტუმართმოყვარე საქართველოში, რათა გავეცნოთ რესპუბლიკაში შეძენილ გამოცდილებას და განვიხილოთ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის შემდგომი განვითარების გეგმები.

კომუნისტური პარტია, ჩვენი სახელმწიფო, მთელი საბჭოთა ხალხი ძალღონეს არ ზოგავენ, რათა უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სიმეტი ზრდა. ამას ისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებები, რომლებიც ამ დადგენილებას დაედო საფუძვლად, უდიდესი წვლილია ჩვენი პარტიის აგრარულ თეორიაში, თანამედროვე ეტაპზე მისი აგრარული პოლიტიკის შემდგომ განვითარებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა შეიმუშავა.

მეცხოველეობის — სოფლის მეურნეობის ამ რთული და დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარების უდიდესი ყურადღება ეთმობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილი ათი წლის მანძილზე სახელმწიფომ და კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის საფუძვლებს, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და კომბინირებული საკვების საწარმოების მშენებლობას მოაჩარეს დაახლოებით 40 მილიარდი მანეთი — 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ათწლეულში. ამ ხნის განმავლობაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა 362 მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსი ხორცისა და რძის საწარმოებლად. შენდება ახალი კომპლექსები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების ტექნიკური განახლებისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის. გაიზარდა ახალი, უფრო ეფექტიანი და სრულფასოვანი საკვების — სენაჟის, გრახულების, ბრიკეტებისა და სხვების ხვედრითი წონა.

ყველამ იცის, რომ საქართველო მოწინავე რესპუბლიკაა ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, მაღალხარისხოვანი ხილის წარმოებით. ამავე დროს უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება იმ ამოცანების კარდინალური გადაწყვეტისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში. აშენდა დიდი მეცხოველეობის ობიექტები სამრეწველო საფუძველზე, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ნაკადური ტექნოლოგიური ხაზების მეშვეობით ვაწარმოოთ უფრო მაღალი ხარისხის და უფრო მცირე თვითღირებულების პროდუქცია შრომის ნაკლები დანახარჯებით. ამავე დროს სრულად უნდა შევასრულოთ ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაესახა, როგორც მთლიანად ქვეყანის, ისე საქართველოს სს რესპუბლიკასაც. ბევრი დიდი ღონისძიებაა გათვალისწინებული სახორცე და სარძეო მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის დაჩქარებული განვითარებისათვის. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, მზედველობაშია საკოლმეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროგრამის ეფექტიანი განხორციელება. ამასთანავე საჭირო იქნება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სასელექციო-სანაშენე მუშაობა, წარვმართოთ იგი ისეთი ტიპის ცხოველების შესაძენელად, რომლებიც ყოველმხრივ დაკმაყოფილებს წარმოების სამრეწველო ტექნოლოგიის მოთხოვნებს.

შემდეგ ამხ. ეკეკესკი შეეხო საკვები ბაზის განმტკიცების, თანამედროვე ტექნოლოგიაზე საკვებწარმოების გადაყვანის, საკვები ცილის პრობლემის გადაწყვეტის საკითხებს.

იქნება, თქვა მან, მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგრამ იგი კარგად უნდა გამოვიყენოთ, უზრუნველყოთ ფერმების რთული მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა, მისი დროული ტექნიკური მომსახურება და რემონტი. ჯერ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის თებერვლის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წინადადება წამოაყენა შეგვეძლო „სოფლტექნიკაში“ სპეციალური სამსახური, რომელიც მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად თვითონ იკისრებდა ყველა სამუშაოს შესრულებას, რომლებიც უკავშირდება არა მარტო ფერმების მოწყობილობის დაკომპლექტებასა და დამონტაჟებს, ათვისებასა და საპროექტო მწარმოებლობით ამუშავებას, არამედ ფერმებში მანქანების, მექანიზმების ტექნიკურ მომსახურებასაც, იგრეთვე შესაფერი კადრებს ამ ტექნიკის დიდმწარმოებლურ გამოყენებას. დღეს „სოფლტექნიკის“ ორგანიზაციები ამონტაჟებენ ფერმების მოწყობილობის 85 პროცენტზე მეტს, ემსახურებიან ტექნიკას თითქმის 40 ათას მეურნეობაში. ყოველწლიურად რაიონულ გაერთიანებათა სასწავლო კლასები ამზადებენ 130 ათასზე მეტ სხვადასხვა პროფილის მექანიზატორ-მეცხოველეს.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით „საქსოფლტექნიკაშიც“. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი საწარმოო ბაზა, შეიქმნა რაიონული გაერთიანებები, ბორის, გურჯაანისა და სხვ., რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გაწეული საინჟინრო-საწარმოო მომსახურების ხარისხით შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს. ეს გაერთიანებები არ ჩამოუვარდება სხვა რესპუბლიკების ყველაზე მოწინავე რაიონულ გაერთიანებებს.

მაგრამ არის ნაკლოვანებებიც მოწყობილობით ობიექტების დაკომპლექტებაში, დამონტაჟება ზჩირად უხარისხოდ, კუსტარულად ხდება, ყოველთვის არ იცავენ სამუშაოთა შესრულების ვადებს.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ ფერმების რეკონსტრუქციას, მათს ტექნიკურ განახლებას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ მთლიანად ვიკისროთ სახელშეკრულებო საწყისებზე ფერმებისა და კომპლექსების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო გაერთიანებების განაცხადებით.

დასასრულ ამხ. ეკეკესკიმ თათბირ-სემინარის მონაწილეთა სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გულითადი მასპინძლობისათვის, და აღნიშნა, რომ დიდი მუშაობაა გაწეული თათბირ-სემინარის მოსამზადებლად. მან გამოთქვა რწმენა, რომ სემინარი სასარგებლო იქნება ყველა მონაწილისათვის, ხელს შეუწყობს მეცხოველეობის ინტენსიფიკაციისა და კონცენტრაციის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

მეცხოველეობა რენტაბელური, დიდად განვითარებული დარგი ხდება

ორიგუნალია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით იგი გულთბადდ მიესალმა თათბირ-სემინარის მონაწილეებს და უსურვა წარმატებები მუშაობაში.

საკავშირო თათბირ-სემინარი, თქვა ამხ. პატიაშვილმა, იმ დროს მიმდინარეობს, როცა საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი შთაგონებით ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. როგორც პარტიის ყრილობაზე აღინიშნა, მეათე ხუთწლედში ეკონომიური შენებლობის უმნიშვნელოვანესი უბანია სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა მინნეულია უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო ამოცანად.

ბანამდროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის ორგანული განვითარება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებათა საფუძველზეა მიღებული, როგორც დადგენილებაში აღინიშნა, უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა ექნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ საკავშირო თათბირ-სემინარი საქართველოში მიმდინარეობს, და მიანიშნა, რომ ეს მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ უდიდეს მხარდაჭერას.

თათბირ-სემინარისათვის მზადების დროს ეხვეწაკეთილ მეცხოველეობის გაძღოლის ტექნოლოგიურ პროცესებს, სრულყოფილი ფერმების მოწყობილობას, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურების მეთოდებს. ამან უთუოდ ხელი შეუწყო ჩვენი მეცხოველეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის დასახული ტენდენციების გაღრმავებას, მისი გაძლიერის კულტურის ამაღლებასა და ფერმების მშრომელთა წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას.

შემდეგ ამხ. პატიაშვილმა დაწვრილებით დაახასიათა მეცხოველეობის მდგომარეობა რესპუბლიკაში, ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ამაღლდეს ამ საარსებო მნიშვნელობის დარგის ეფექტიანობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამ მიმართულებით, თქვა მან, ბევრი რამ უკვე კეთდება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კარგი ტემპია აღებული მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქტის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში. მაგალითად, წარმოების ზრდის ტემპმა 1973-1975 წლებში 1971-1972 წლებთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 114 პროცენტი, ხოლო საქართველოში — 120 პროცენტი, კვერცხის წარმოების ზრდის ტემპმა შესაბამისად — 135 და 155,3 პროცენტი. სამეალო წელიწადი შესყიდვა ჩვენში იგრეთვე უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ბეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ზრდამ ქვეყანაში შეადგინა 106,5 პროცენტი, ხოლო საქართველოში — 120,7 პროცენტი, რძის შესყიდვის ზრდამ — 0,4 პროცენტით მეტი, კვერცხისამ — 16 პროცენტით მეტი. ეს სწრაფი ტემპი რჩება მეათე ხუთწლედის პირველ წელსაც. ასე რომ, როგორც ხედავთ, ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი უზრუნველყოფდეს მოთხოვნილებებს. ჩვენ კარგად გვესმის ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები და ვგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ ყველა რეზერვი არ მუშაობს შეწყობილად და შედეგებიც ყოველთვის არ არის სასუგეშო.

შარშან შემოდგომაზე გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც წამოაყენა საპროგრამო დებულება: „საქართველოს შეუძლია და კიდევაც უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“. პლენუმმა გამოავლინა ნაკლოვანებანი ჩვენი მეცხოველეობისა და საკვებწარმოების გაძღოლაში, დასახა დარგის მძლავრი აღმავლობის ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები. პლენუმმა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებენ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მოუწოდა გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა ფართოდ განადგურდეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის, სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანისათვის, ამ მოძრაობაში ჩაბმან რესპუბლიკის ყველა მშრომელი, თვითეული მშრომელს შეაგნებინონ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ძირეულვიანი გარღვევის პრობლემა ეს არის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი, საერთო პარტიული, საერთო სახელმწიფოებრივი, საერთო სახალხო ამოცანა.

ამხ. პატიაშვილი დაწვრილებით შეეხო მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისს პლენუმზე თქვა, რომ მთავარი, რაც გვეპირდება მეცხოველეობის აღმავლობისათვის, — ეს არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები.

ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ არის კარგად მოგაგარებული. საკვების წარმოებაში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები უწინარეს ყოვლისა არის ის, რომ მცირემოსავლიანია საკვები კულტურები, სრულყოფილი არ არის მათი სათესი ფართობების სტრუქტურა, დაბალია წვნიანი საკვების ხვედრითი წონა, უდიდესია ცილის დეფიციტი, ჯეროვნად ვერ ვიყენებთ სანაწვერალო და შუალედური კულტურების თესვის მდიდარ შესაძლებლობებს, სხვადასხვა ნარჩენებს პირუტყვის საკვებად, მცირეა სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობა, დაბალია საკვებწარმოებასა და საკვების დამზადებაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვის დონე.

ახლა ყველაფერი კეთდება, რათა ყველგან ჰექტარზე საშუალოდ მოგიწიოთ 300-350 ცენტნერი სამინდის სასილოსე მასა, მრავალწლოვანი ბალახების 45-50 ცენტნერი და ერთწლიანი ბალახების 35-40 ცენტნერი თივა, 400-500 ცენტნერი ძირხვენები. ამისათვის სავსებით რეალური შესაძლებლობანი გვაქვს.

1980 წლისათვის კომბინირებული საკვების გამომვება ჩვენში 1-1,2 მილიონ ტონას მიაღწევს. ფართოვდება სოიის შროტისაგან მოუხდელი რძის შემცველის წარმოება. 1980 წლისათვის გათვალისწინებულია მისი გამოშვება ჯეროვნად 8 ათას ტონამდე. ეს ნიშნავს, რომ მშრომელები წელიწადში მიიღებენ 30-32 ათასი ტონით მეტ ნატურალურ რძეს.

საექსპლოატაციოდ არის გადაცემული ამიდო-კონცენტრატული დანამატების საამქრო, რომლის წლიური მწარმოებლობა 10 ათასი ტონაა. ეს საწარმო არსებითს დახმარებას გაუწევს ჩვენს მეცხოველეობას საკვების პროტეინით გამდიდრებაში. ხუთწლედის დამლევამდე აშენდება კიდევ ორი ასეთი საამქრო.

ამჟამად მოზარდეულის ინტენსიური სუქება ორგანიზებულია რესპუბლიკის ყველა რაიონში, ხოლო 24 რაიონში აშენდა 400-600-800-1.000 სული მოზარისა და დაწუნებული დეკეულისათვის გამკუთვნილი მსუბუქი ტიპის სასუქებელი მოედნები.

ინდუსტრიულ საფუძველზე მსხვილფეხა ირმაუყვის მოზარდეულის ინტენსიური სუქების დარგში სასარგებლო ინიციატივა გამოიჩინეს გურჯაანის, წითელწყაროსა და აბაშის რაიონების ხელმძღვანელებმა, სადაც ასეთი კვება მოწყობილია ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გამოუყენებლად, საბალხო მშენებლობის მეთოდით. აქ ერთი პირუტყვის ადგილი 25-50 მანეთი დაჯდა ტიპობრივი პროექტებით გათვალისწინებული 500-700 მანეთის ნაცვლად. საფუძვლიანად არის შესწავლილი ამ რაიონების გამოცდილება, გაანალიზებულია მისი ეკონომიური ეფექტიანობა და ფართოდ ინერგება რესპუბლიკის ბევრ რაიონში.

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესებმა, სამრეწველო ტექნოლოგიისა და შრომის ინდუსტრიალიზაციის დანერგვამ ფართოდ მოიკიდა ფეხი რესპუბლიკის მეფრინველეობაშიც. ამავე გზით ვითარდება ჩვენში მებოცვრეობაც.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო ფრენოვან სანაშენე საქმისა და ხელოვნური დათესვის საკითხებს. აღინიშნა, თუ რა დადებით საქმიანობას ეწევა „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანება ფერმების დაკომპლექტების, ტექნიკური მომსახურებისა და მოწყობილობის შეკეთების დარგში. მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეცხოველეობის საგომების, კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების — მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საკითხებმა. აღინიშნა, რომ საჭირო მომზადდეს მცირეა კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებსაც საფუძვლიანად ეცოდინებათ ზოოტექნიკა, ვეტერინარია, ტექნოლოგია, ეკონომიკა.

ამხ. პატიაშვილმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები ძალღონეს და ენერგიას არ დაიშურებენ, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქართველო დიდადგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა გახდეს.

მეცხოველეობის განვითარების პრობლემები

ჩვენს ქვეყანაში დიდადეფექტიანი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობის ფართო გაქანებაზე ლაპარაკი იყო მოხსენებაში „სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანის გზები“, რომელიც გაკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ბუბარევმა. მან აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიიან საქონლის პირობები შეიქმნა მეცხოველეობის სამრეწველო საფუძველზე განვითარების. სულ უფრო მეტი შენდება თანამედროვე, მთლიანად მექანიზებული ფერმები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სადაც შრომის, საკვებისა და სახსრების დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ ფერმებში. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ მეცხოველეობაში სულ უფრო მზარდი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, უფრო სწრაფად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავუმჯობესოთ ხარისხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მეცხოველეობაში შეძენილია ეფექტიანი შუბობის გარკვეული გამოცდილება.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოოპერირების ბაზაზე მსხვილი სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანებათა შექმნა ხელსაყრელია როგორც მეურნეობებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. ამას მოწმობს შედეგები, რომლებიც ბუსეთის ფედერაციის, მოლდავეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების ასეთმა მეურნეობებმა მოიპოვეს. სწორედ იქცევიან რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, როცა მოწინავე მეურნეობებში გამოცდილების შესასწავლად გზავნიან მეცხოველეობის დარგის მუშაკებს.

საქართველოში აღებული მექანიზაციის განვითარებისა და ინდუსტრიულ რელსებზე ფერმების გადაყვანის სწორი გზა უეჭველად გარდაქმნის მეცხოველეობას დიდადეფექტიან და რენტაბელურ დარგად.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, მისი გაძღოლის კულტურის ამაღლების, მატერიალური რესურსების გამოყენების დიდმნიშვნელოვან, მთავარ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ნ. ჭითანავას მოხსენება. მოხსენებაში მთავარი ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს სანაშენე მუშაობა, უნდა განახლდეს ჯოგი უფრო პროდუქტიული პირუტყვით, რომელიც დაკმაყოფილებს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, დარგის ტექნიკური განახლების მოთხოვნებს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, მისი რენტაბელობის ზრდის, ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობაა პირუტყვის უზრუნველყოფა მრავალფეროვანი და იაფი საკვებით. საგულისხმოა, აღინიშნა მოხსენებაში, რომ რესპუბლიკის მთელი სახნავების დაახლოებით 18 პროცენტი საკვებ კულტურებს ეთმობა. ამიტომ საკვების ძირითადი რაოდენობა შუბდება მთისა და მთისწინეთის სათიბებსა და საძოვრებზე. მაგრამ ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების გამოყენება ითვლება ძნელდა, რომ არა გვაქვს ფერდობებსა და ბატარა ნაკვეთებზე მუშაობისათვის გათვალისწინებული შესაბამისი ტექნიკა.

უხეში საკვების სტრუქტურაში თითქმის 30 პროცენტი ნაჭასა და ჩალაზე მოდის. მაგრამ გამოყენების წინ მათ არ ამუშავებდნენ, რაც დიდ დანაკარგებს იწვევდა. ახლა ჩვეულებრივ საკვებ საამქროებთან ერთად მეცხოველეობაში იქნება უმარტივესი სამაოკვები საკვების მოსამზადებლად, რათა მან მეტი სარგებლობა მოიტანოს. ასეთი საკვები საამქროები აშენდა და მუშაობს აბაშის, ხობის, მაზარაძის, წითელწყაროსა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

მოხსენებაში ყურადღება დაეთმო ცილოვანი ნივთიერების შემცველი საკვების ნაკლებობის. ამასთან აღინიშნა, რომ ამ ხარვეზების შესაცვლელად დიდ რეზერვს წარმოადგენს სოიის წარმოების გადიდება. ეს კულტურა მოჰყავთ დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ, ალოლეთის დაბლობში, 14 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე. ჭორბატნიანი ნიადაგის გამო მოსავლის აღება ძნელდება. ასეთ პირობებში ეფექტიანად მეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ „სკკ-5“ ტიპის კომბაინები, მაგრამ ასეთი კომბაინი მხოლოდ 11 ცალი გვაქვს, გვჭირდება კი 200-250 ცალი.

ჩვენ, თქვა ამხ. ჭითანავამ, შემთხვევით არ მოვიხსენიეთ კოლეთის დაბლობი. სწორედ იგი არის საკვები ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ძირითადი რეზერვი. დაბლობის ზონაში ამუშავებენ სიმინდის მთელი ნათესების 76 პროცენტს. მაგრამ მოსავლის აღებას აქაც მნიშვნელოვნად აძნელებს სპეციალური ტექნიკის უქონლობა. სერიოზი სიმინდასაღები კომბაინის „ხერსონეც-7“-ის გამოყენება ამ ზონაში თითქმის შეუძლებელია, ამიტომ მოსავალს ძირითადად ხელით ბღენენ, ეს კი იწვევს დანაკარგებს, განსაკუთრებით ჩალისას, რომელიც დასავლეთ საქართველოს პირობებში უხეში საკვების შესავსები ერთ-ერთი ძირითადი რესურსია. საჭიროა, რომ მანქანათსაშენებელი მრეწველობა უშვებდეს აგრეთვე მუხლუხიან სიმინდასაღებ კომბაინებს, რომელიც მოთხოვნილება მარტო რესპუბლიკაში სულ ცოტა 1.200 მანქანას შეადგენს.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო არსებული ფერმების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციას, ამა თუ იმ რაიონის ეკონომიკის გათვალისწინებით კომპლექსების მშენებლობისა და განლაგების, სოფლის მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფის ხაკითხებს.

დიდი კომპლექსების მშენებლობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ძირითადი მიმართულებაა. მაგრამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არის პატარა მერძეველობის ფერმებიც. შემუშავებული სქემის მიხედვით ამ ფერმებში ეყოლებათ მხოლოდ ძროხები, ხბორები კი 20-40 დღის ასაკამდე. ხბორებს გამოზრდიან და გაასუქებენ სპეციალიზებული ფერმა-კომპლექსები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება დამოკიდებულია არამარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ მრეწველობის მუშაკების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მეცადინეობაზეც. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათშორისო გაერთიანებანი საჭირო რაოდენობით უნდა იღებდნენ სხვადასხვა მანქანას, მექანიზმსა და აპარატს.

საინჟინრო-ტექნიკური სამსახური სოფლად

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის დაჩქარებისა და ტექნიკური განახლების შესახებ არის ლაპარაკი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“. მეცხოველეობაში მათი შესრულება გადამწყვეტწილადაა დამოკიდებული „სოფლტექნიკის“ ორგანიზაციათა საქმიანობაზე. მუშაობის ეფექტიანობა, აღნიშნა თავის მოხსენებაში საკავშირო გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბრუხოროვიანმა, იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ „სოფლტექნიკის“ ორგანიზაციები მოიგვარებენ მჭიდრო კონტაქტებსა და ურთიერთმოქმედებას სოფლის მეურნეობის ორგანოებთან და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათშორისო გაერთიანებებს, კომპლექსებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს საინჟინრო სამსახურებს მუშაკებთან.

როცა ვლაპარაკობთ, რომ „სოფლტექნიკის“ მუშაკებს მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის ღონის და კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ჩვენ იმ დებულებით ვხელმძღვანელობთ, რომ როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „სოფლტექნიკის“ სისტემა უნდა გახდეს მეცხოველეობის მექანიზაციის სამუშაოთა ძირითადი შემსრულებელი და ახლა ამისათვის მას აქვს ყველა საჭირო პირობა: სპეციალიზებული საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები და კონტორები, მაკომპლექტებელი ორგანიზაციები, სამონტაჟო და ამამუშავებელ-გამშართველი ტრესტები, დამამზადებელი საწარმოები, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები და ტექნიკური მომსახურების სადგურები, რომლებსაც სასწავლო კლასები აქვთ რაიონულ გაერთიანებებში.

დღეს „სოფლტექნიკის“ ორგანიზაციები ასრულებენ ფერმების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა 85-90 პროცენტს, მოწყობილობით უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო მშენებლობათა 93-95 პროცენტს, სარწარმო ობიექტების მშენებლობაზე ტექნოლოგიური მოწყობილობის დადგმის სამონტაჟო სამუშაოთა 85 პროცენტს, ფერმების მანქანებსა და მოწყობილობას ემსახურებიან მეურნეობათა 80 პროცენტი და ყოველწლიურად ფერმების ტექნიკის საწარმოო გამოყენებას ასწავლიან 130 ათასამდე კაცს.

მეცხოველეობის საწარმო-ტექნიკური მომსახურებაზე სფეროს გაფართოების, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში ამ გაერთიანების თავმჯდომარემ ლ. სარიშვილმა.

მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის 1975 წლის სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1,5-ჯერ აღემატება 1974 წლის დონეს. ამუშავება-გამართვის სამუშაოება სამჯერ და მეტად შესრულდა, ვიდრე 1974 წელს, ხოლო ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

მეცხრე ხუთწლედის ბირველ წლებში, თქვა მომხსენებელმა, ჩვენ არა გვქონია კომპლექტაციის სამსახური, მეცხოველეობის მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების არცერთი საგარო, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში სამონტაჟო და ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოები წარმოდა „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების ბრიგადების ძალებით. ამ ბირობებმი ძნელი იყო სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ჩვენი სისტემის ყველა დარგის განვითარებაში, მათ შორის მეცხოველეობის მექანიზაციის საინჟინრო სამსახურის განვითარებაშიც დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის ივლისის დადგენილებამ „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. უკვე 1974 წელს შეიქმნა კომპლექტაციის სამსახური, დაიწყო მეცხოველეობის მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების სადგურისა და სამონტაჟო ნაწილების და არასტანდარტული მოწყობილობის სპეციალიზებული დამამზადებელი საწარმოს მშენებლობა. მეცხოველეობაში საინჟინრო სამსახურის შექმნის ჩვენს მიერ აღებული ტემპი დაიჭერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა, რომელზეც გაიმართა ღრმა და პრინციპული სკკ-ბასა მეცხოველეობის განვითარების გზების შესახებ.

ინდუსტრიული მეთოდებით სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისათვის გასული წლის მეორე ნახევარში „სოფლტექნიკის“ სისტემაში შეიქმნა მეცხოველეობის მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი, რომელსაც რვა მძიმავი მექანიზებული კოლონა და ერთი ასამუშავებელ-გასამართავი სამმართველო აქვს.

„სოფლტექნიკის“ ცამეტ რაიონულ გაერთიანებაში მოქმედებს სახაზო-სამონტაჟო უბნები, 39 გაერთიანებაში კი სამონტაჟო ბრიგადები. ამეკამად „



ბუნების დიდი სიკეთე

საერთო-სახალხო საქმე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1972 წელს სტოკჰოლმში გამართულ კონფერენციაზე მიიღო გადაწყვეტილება გარემოს დაცვის საერთაშორისო დღად 5 ივნისის დაწესების შესახებ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა.

ბუნებრივი გარემოს დაცვა თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ცხოვრება სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მისი განახლება-გამდიდრების რაციონალურ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთა განხორციელება აღემატება ერთი რომელიმე სახელმწიფოს შესაძლებლობებს და გლობალური მნიშვნელობის პრობლემად გვევლინება.

ბიოსფეროს დაცვის გამოკვლევები საბჭოთა კავშირში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სახელმწიფოების სახალხო დემოკრატიული ქვეყნების, იუგოსლავიის, ალბანეთის, შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის კვლევათა დაწესებულებებთან ერთად მიმდინარეობს.

ჩვენს ქვეყანაში წარმოების სოციალისტური წესი უსაზღვროდ ფართო შესაძლებლობას უქმნის ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებას. საბჭოთა კავშირში გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერ გამოყენების დიდი ოქტომბრის შემდეგ მეცნიერულად დასაბუთებული ხასიათი მიენიჭა.

გარემოს დაცვის პრობლემას დიდი ადგილი ეთმობა სკკპ პროგრამაში, მას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ორგანოთა დადგენილება მოეძღვნა.

1972 წლის სექტემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სპეციალურად განიხილა საკითხი ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ და მიიღო დადგენილება, რომლითაც ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების ყაირათიანი გამოყენება, მაღისა და მისი წიაღისეულის, ტყეებისა და წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ატმოსფეროს ჰაერის დაცვა სახელმწიფოებრივ ამოცანად არის გამოცხადებული.

დიდ სივრცეებს მოიცავს საბჭოთა. იგი ბუნებრივი სიმდიდრეებით უხვად არის დაჯილდოებული. საბჭოთა კავშირს ბუნებრივი გაზის, რკინისა და მანგანუმის მადნეულის, აზბესტისა და სხვა ფერადი ლითონების დაზვერვის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია, ხოლო ბუნებრივ მსოფლიო მარაგში ხვედრითი წილი შეადგენს: მანგანუმისა, — 74 პროცენტს, რკინის მადნისა — 43 პროცენტს, ბუნებრივი გაზისა — 35 პროცენტს, კალიუმის მარილებისა — 30 პროცენტს, ფოსფატის ნედლეულისა — 28 პროცენტს, ქვანახშირისა — 23 პროცენტს.

საბჭოთა კავშირის მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეების აქტიური დაცვა, მათი გონივრული ათვისება და კვლავწარმოება შეუხებელი მუშაობას მოითხოვს. იგი მთელი ჩვენი ნაღვლის უპირველესი საზრუნავი, რაც ბისაბა სკკპ XXV ყრილობაზე შემუშავებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო მეათე ხუთწლედში სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ბუნების დაცვის ღონისძიებების განხორციელებას უნდა მოახმაროს 11 მილიარდი მანეთი, ქირქლი საქართველოში — 687 მილიონი მანეთი.

სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით ჩვენს რესპუბლიკაში უკვე განსაზღვრულია, თუ რა სახეობისა და როგორ ბუნებრივ სიმდიდრეებს ფითვისებენ 1976-1980 წლებში. მეცხრე ხუთწლედთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება მანგანუმის, სპილენძის მადნეულის, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, თერმული და მინერალური წყლების მოხმარება. ერთი სიტყვით, მომავლის ამოცანები რესპუბლიკაში საკმაოდ ფართეა. მათი განხორციელება დიდძალი ბუნებრივი რესურსების თვისებას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას ითვალისწინებს.

რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხები ყოველთვის პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც დასახულია დიდი ღონისძიებები ეროვნული მოგლენებისაგან მიწების დაცვის, გამეჩხერებული ტყეების შევსებისა და უმარჯვი ადგილების მოტყეებების, რუსეთ-ბლიკის წყალსაცავებისა და ატმოსფეროს ჰაერის გაუჭუჭყიანებისაგან დაცვის, წიაღისეულის რაციონალურად გამოყენების და სხვათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებების ნაწილი შესრულდა, ხოლო მათი მთლიანად განხორციელებისათვის აქტიური მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1972-1975 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეწველო და კომუნალური ობიექტების გამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა 70 ნაგებობა და დანადგარი, რომლებიც წმენდენ გაჭუჭყიანებული წყლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტს. დიდძალი თანხები ხმარდება კანალიზაციანსაწმენდ ნაგებობათა მშენებლობის, ყოველწლიურად იზრდება ბრუნვით წყალმომარაგებაზე გადასული სამრეწველო ნაგებობათა ხვედრითი წილი, რითაც თანდათანობით მეცირება ახალი წყლის ხარჯი; დასაბამი მიეცა მიწების რეკულტივაციის და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მათს მოქცევას, ხოლოდ ეროზიის საწინააღმდეგო და ჩვენი მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის დაცვის ღონისძიებები; გათვალისწინებულია საკმაოდ ვრცელ ფართობებზე ტყეების აღდგენითი და ახალი კორომების გაშენების სამუშაოები, ხოლო საწარმოებში, რომლებიც აკუმულიანებენ ატმოსფეროს ან წყალს — ახალი კონსტრუქციის მტვერდამჭერ და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

წელს მიღებულია ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლის შესაბამისად დასახულია რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის აუზის მდინარეთა გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით დასაცავი საქართველოში განლაგებული ქალაქების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც პროდუქციის წარმოების პროცესში პირდაპირი ან არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ბუნებრივი ბესტსაების გამოყენებასთან.

არაერთი ორგანიზაციის შუამობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები მთლიანად არ ასრულებენ ბუნების დაცვის დასახულ ღონისძიებებს, განსაკუთრებით უდარდოდ ეკიდებიან მიწებისა და წყლის გამოყენებას, ფლორისა და ფაუნის დაცვის საკითხებს.

ჩვენში ბუნების კანონების და ამ კანონებს შორის დიალექტიკური კავშირის ცოდნის დონე ფართო საზოგადოებაში და იმ ადამიანთა ცნობიერებაში, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ბრა მარტო ბუნებრივი რესურსების ათვისების პროცესში, არამედ იკვლევენ ან აყენებენ ხალხის სამსახურში ამ სიმდიდრეთა ჩაყენების საკითხებს, სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ამიტომ ზოგჯერ ამა თუ იმ პრობლემის, ამოცანის თუ საკითხის გადაწყვეტისას არ ითვალისწინებენ ბუნებრივ კანონზომიერებათა მთელ კომპლექსს, ხასაც მოსდევს მძიმე შედეგები, რომელთა გამოსწორება შემდგომში ძალიან შეუძლებელია ანდა მეტად ძვირი უჯდება სახელმწიფოს.

აქედან ცხადია, თუ რამდენად გადაუდებელი ამოცანაა ბუნების კანონების ცოდნის ფართო პროპაგანდა. ბიოსფეროში მიმდინარე პროცესების ცოდნა საკვლევლებულო უნდა გახდეს ყველა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანებისათვის. ამ საქმეში დიდ როლს უნდა ასრულებდნენ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საბეჭდავი ორგანოები, ბეჭდვა, რადიო და ტელევიზია, თავისი შთამბეჭდავი სიტყვა უნდა თქვას მწერლობამაც.

ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, პრესის ორგანოები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისია, „ბუნების დაცვის“ ნებაყოფლობითი საზოგადოება, საზოგადოება „ცოდნა“. რაც დადებით გაკეთებულა ამ დარგში, ეს ამ ორგანიზაციებმა ბევრ ადგილას ბუნების დაცვის ამოცანებზე ინფორმაციებს ბეჭდავენ, ბევრ ადგილას ბუნებისმეტყველ ლექტორთა ჯგუფ

რწმენა და სინდისი

(დასასრული)

ცოტა რაღაც, დასასული ღონისძიებებიდან რა თქმა უნდა, გაკვთდა: ანინიოლეს საკითხი, რომ ქალაქ მცხეთასა და მცხეთის რაიონში განხორციელდეს ისტორიულ-არქიტექტურული „ბებრის ციხის“, „ეშნის ციხის“, „კალთოუნის“, „შიო მღვიმის“ და „არმაზის“ სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოები, ეს ყველაფერი კულტურის სამინისტროს დამსახურება გასლავთ, რისთვისაც დიდ მადლობას მოახსენებენ მცხეთელი მშრომელები. მაგრამ კულტურის სამინისტროს 1975-76 წლებში მცხეთის ისტორიული მუზეუმის მშენებლობაც უნდა გაეთვალისწინებინა, 1975 წლისათვის კი უნდა დამთავრებინა მცხეთის კულტურის სახლის მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა. ასევე საჭიროა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, შემდეგ კი მშენებლობის დაწყება. უნდა განხორციელდეს ილია ბაღ-პარკის მეურნეობის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა არსებული სპარიექტო ნოკუმენტაციის შესაბამისად. თუ ყველაფერ ამას დროზე გააკეთებენ, უფრო დიდ მადლობას შემოუთვლიან, თუ არა და ეწყინებათ მცხეთელებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო საშუალო სკოლის დაპროექტება, ასევე გათვალისწინებულია საშუალო სკოლის მშენებლობა ნარეკვავის მიკრორაიონში.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინა მცხეთაში ორმოცბინიანი სახლის, აგრეთვე ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, მაგრამ სად არის 100-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა?

საჭიროა მცხეთის წყალსადენის რეკონსტრუქცია და გაფართოება. უნდა შედგეს მცხეთის კანალიზაციის მშენებლობის პროექტი.

ერთიც უნდა ითქვას:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ვერაფერს გახდება, თუ საქართველოს მთავარმომარაგებამ არ გამონახა შესაძლებლობა და დამატებით არ გამოუყო სამინისტროს მასალები, მცხეთის კეთილმოწყობის სამუშაოთა განსახორციელებლად.

დღეს სირცხვილია, რომ მცხეთის რაიონის უამრავი სოფელი რადიოფიცირებული არ არის. კაცს ცოტა პყოფნის, გაოამაზდა მცხეთა, ამბობენ მცხეთელები, ძველი ლამპიონები ახლით, თანამედროვე ფორმის ლამპიონებით შეიცვალაო. ეს კარგია, დასძენენ ისინი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ამეფინა ეს ბედნიერება ჩემ ბოლ-ბარ ბოლ-ბარ ... ეს ... ...